ღირსება როგორც სამართლებრივი და კულტურული ფენომენი

ანა ჩივაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ანა ჩივაძე:

თარიღი: 29.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ღირსების ცნების სამართლებრივი და კულტურული შინაარსი, საქართველოს მაგალითზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს, ერთი მხრივ იმ მნიშვნელობების დადგენა, რასაც ანიჭებენ ღირსების ცნებას საქართველოს მოქალაქეები. მეორე მხრივ განიხილება ის შინაარსი, რაც აქვს აღნიშნულ ცნებას საქართველოს კანონმდელობაში. შემდგომ, ხდება ამ მნიშვნელობათა შედარება იმის დასადგენად, თუ რა შინაარსებშია დამთხვევა და აცდენა ღირსების ამ ორ ფენომენს შორის. ცნების კულტურული შინაარსის უკეთ გასაგებად, გაანალიზებულია ქართულ პუბლიცისტიკასა და მედიაში არსებული დისკურსი ღირსებასთან დაკავშირებით.

ღირსების კულტურული ფენომენის გასაანალიზებლად, გამოიყენება ინტერპრეტაციული და კონსტრუქტივისტული პარადიგმის მეთოდი. კულტურა განიხილება, როგორც მნიშვნელობათა ქსელი.

კვლევის შედეგების მიხედვით, ღირსების სამართლებრივ და კულტურულ შინაარსებს შორის, ძირითად შემთხვევებში არის აცდენა. ღირსება სამართლებრივად, აქვს ნებისმიერ ადამიანს, როცა კულტურული ფენომენის შედეგებში, ღირსეულად სახელდება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის ადამიანები. კრიტერიუმები, რაზე დაყრდნობითაც, მოქალაქეები ადამიანს ღირსეულად მიიჩნევენ ირეკლავს იმ წარმოდგენებს, რაც მნიშვნელობს ქართულ კულტურაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადამიანის ღირსება, ღირსება და პატივი, ღირსეული ადამიანი, უღირსი ადამიანი, ღირსების შელახვა, ღირსების დაკარგვა, ღირსების აღდგენა, ეროვნული ღირსება.

Abstract

In preceding work is considered the conception of the dignity in justice and cultural contents according to Georgia. The purpose of the research is to identify, on one side the importance which Georgian citizens giving to the conception of the dignity. On the other hand, is considered the contents, which has denoted conception in Georgian legislation. Then, it occurs to compare the meanings and importance, to prove in which is coincidence or duality between these two phenomena. To understand the contents the cultural conception better, this is analysed in Georgian publistic and media discourse about dignity. To analyse the phenomenon of the cultural dignity, is used the method of interpretive and constructive paradigm. Culture is considered as a network of meanings.

According to the resultt of the survey, there is major difference between legal and cultural content of dignity. Dignity as legal, it has any person. Dignity according, cultural meaning, has only certain types of people. Based on the criteria, citizens consider themselves to be dignified by the imagination that is important in Georgian culture.

Key words: Human dignity, Dignity and honor, Worthy person, Unworthy person, Dignity, Loss of dignity, Restoration of dignity, National dignity.

მადლობა

ქეთევან გურჩიანს ხელმძღვანელობისა და სამუშაო პროცესში გაწეული დახმარებისთვის;

კონსტიტუციონალისტებს, რომლებიც დროის სიმცირის მიუხედავად, დამთანხმდნენ კვლევაში მონაწილეობაზე;

რესპონდენტებს, რომლებიც დამეხმარნენ კვლევისათვის მონაცემთა შეგროვებაში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს სამუშაო სივრცისა და სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობისთვის.